ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №17

29.06.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **გიორგი გაბაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ეკა ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 ივნისის №12-031816523-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 22 ივნისის №12-0318173117-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ი. ხმალაძის 2018 წლის 11 აპრილის №12-031810163-03 წერილის დამატებითი შესწავლისთვის გადადებული მე-3 წინადადება) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 ივნისის №12-031816523-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება: **№61-01181553245; №61-0118095123**).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 2 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქ. კორპ. №3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.032.001.065) (1119 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 6-ის სატრანსპორტო ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (№61-01181553245)**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა №1, კორპ. №3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.32.001.065) ავტოსამრეცხაოს (ბოქსები, კვების ობიექტი, კომპლექსური მომსახურების დანიშნულების ობიექტი) განთავსების მიზნით, №61-01181553245 წერილის საფუძველზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ცვლილება შესაბამისი ფუნქციური ზონით (სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2)). №01.19.32.001.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.099, ნაკეთი №03/72) და მიმდებარედ (5192 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-სარეკრეაციო ზონა 2-ით და სარეკრეაციო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (№61-0118095123).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№61-0118095123** განაცხადით დგინდება, რომ ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.099, ნაკვეთი №03/72) და მის მიმდებარედ (5192 კვ.მ.), „მაკდონალდსის“ საერთაშორისო ქსელის რესტორნის მშენებლობის მიზნით, მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) შესაბამისი ფუნქციური ზონით ცვლილება (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით სსზ-2). საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებულმა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურმა გეგმამ საპროექტო ტერიტორიაზე დაადგინა შემდეგი ფუნქციური ზონები: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და მცირედზე - სამრეწველო ზონა 1 (ს-1). ხოლო დადგენილების პროექტის დანართის - ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 საკითხის ჩანაწერში (**„ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.099, ნაკვეთი №03/72) და მის მიმდებარედ (5192 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება *<u>საზოგადოებრივ-სარეკრეაციო ზონა 2-ით</u>* და სარეკრეაციო ზონა 1-ით) დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი და** კორექტირებული ფუნქციური ზონა - საზოგადოებრივ-სარეკრეაციო ზონა 2 მითითებულია შეცდომით, რაც საჭიროებს გასწორებას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის სახით.

კომისიის წევრებმა მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1) **ცნობად იქნას მიღებული** მომხსენებლის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლის (ე. ცეცხლაძე) ინფორმაცია დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 საკითხის (წინადადების) ჩანაწერში შეცდომით მითითებული ფუნქციური ზონის (საზოგადოებრივ-სარეკრეაციო ზონა 2-ის) გასწორების თაობაზე.

2) **კენჭი ეყაროს** ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.099, ნაკეთი №03/72) და მიმდებარედ (5192 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-სარეკრეაციო ზონა 2-ით და სარეკრეაციო ზონა 1-ით ცვლილების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 14 ივნისის **№12-031816523-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადების - **№61-01181553245; №61-0118095123**) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა, კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 22 ივნისის №12-0318173117-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება: **AR1543431; AR1562770; AR1578243; AR1590277).**

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული საკითხები პუნქტობრივად იქნა განხილული (სულ: 4 წინადადება).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) – **ქ. თბილისში, ანაკლიის ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.003.008, ფართობი: 119 კვ.მ.) ნაწილზე და მის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების შესახებ (AR1543431).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1543431 განაცხადით, ქალაქ თბილისში, ანაკლიის ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.06.003.008, ფართობი: 119 კვ.მ.) ნაწილზე და მის მიმდებარედ მოთხოვნილია არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5).** დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე სატრანსპორტო ზონა 1-ის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მომიჯნავე არსებულ ნაგებობაზე.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) – **ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ე.წ. „ჩალიპირების“ ტერიტორიაზე (ფართობი 1132 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (AR1562770).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1562770 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომი, ე.წ. „ჩალიპირები“-ს ტერიტორიაზე (ფართობი 1132 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.** ვინაიდან, ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებს რეალურად აქვს მისასვლელი გზა, აღნიშნული ცვლილებით ხდება საავტომობილო გზაზე შესაბამისი ზონის გავრცელება.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) – **ქ. თბილისში, სოფელი დიღომში, წმინდა გიორგის უბანში მიწის ნაკვეთების მიჯნაზე, არსებულ გზაზე (ფართობი 833 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (AR1578243).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1578243 განაცხადით, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომში, წმინდა გიორგის უბანში მიწის ნაკვეთების მიჯნაზე, არსებულ გზაზე (ფართობი: 833 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.** ვინაიდან, ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებს რეალურად აქვს მისასვლელი გზა, აღნიშნული ცვლილებით ხდება საავტომობილო გზაზე შესაბამისი ზონის გავრცელება.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) – **ქ. თბილისში, წერონისის ქუჩა №183ა და მელიტონ ფილიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.12.14.087.007 და 01.12.14.087.008) ნაწილზე და მის მიმდებარედ 45 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (AR1590277).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **AR1590277 განაცხადით, ქალაქ თბილისში, წერონისის ქუჩა №183ა და მელიტონ ფილიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.12.14.087.007, 01.12.14.087.008) ნაწილზე და მის მიმდებარედ 45 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით ცვლილება.** არსებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის გენერალური გეგმის მიხედვით ფიქსირდება რუკის ხარვეზი და რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მიჯნაზე.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 22 ივნისის **№12-0318173117-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადების - AR1543431; AR1562770; AR1578243; AR1590277) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ი. ხმალაძის 2018 წლის 11 აპრილის №12-031810163-03 წერილის დამატებითი შესწავლისთვის გადადებული მე-3 წინადადება)

სხდომის თავმჯდომარის ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის ინფორმაციით, კომისიის 2018 წლის 4 მაისის სხდომაზე (ოქმი №12) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის (საპროექტო ტერიტორიის შემდგომი განვითარების პროექტი-ესკიზის) წარმოდგენამდე გადადებული იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (**წერილი№12-031810163-03 11.04.2018წ.**) განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ზონის ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩა №2 არსებულ ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.010) და მიმდებარედ (1310 კვ.მ.), ქ. თბილისში, ხაზინა №5 არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.008) ფარგლებში და მიმდებარედ (45 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (AR1573797).**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი წარმოადგინა წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაინტერესებულმა პირმა (განმცხადებელი: რ. სვანიძე) AR1573797 განცხადებით მოითხოვა სატრანსპორტო ზონა 1-ისა და საცხოვრებელი ზონა 5-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №2-ში და ხაზინის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: (№01.15.04.020.010, ფართობი: 8252 კვ.მ. და №01.15.04.020.008, ფართობი: 711 კვ.მ.) 1310 კვ.მ. და 45 კვ.მ. ფართობზე. საპროექტო ტერიტორიები მდებარეობს ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, ხოლო №01.15.04.020.008 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. არსებული მდგომარეობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე, სატრანსპორტო ზონა 1-ის გავრცელება ხელს უშლის ისტორიული განაშენიანების შესაძლებლობას, იმ

საპროექტო ფუნქციიდან გამომდინარე, რომელსაც გეგმავს თბილისის განვითარების ფონდი.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 11 აპრილის **№12-031810163-03 წერილით** განსახილველად წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ცვლილებების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩა №2 არსებულ ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.010) და მიმდებარედ (1310 კვ.მ.), ქ. თბილისში, ხაზინა №5 არსებული ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.008) ფარგლებში და მიმდებარედ (45 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 5-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების საკითხის (AR1573797)** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე